ბრძოლა ბოლო წუთებამდე

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 16 აგვისტო.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 2:3 (0:1).

“დინამო”: ლეჟავა, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, დათუნაშვილი, მესხი.

“ლოკომოტივი”: ტუგოლუკოვი, კორნეევი, სოროკინი, მაქსიმოვი, ზაიცევი, ბელიაკოვი, ლატიშევი, კოვალევი, სიაგინი (მანშინი), ბუბუკინი, სპირიდონოვი.

მსაჯი მ. არნსკი (ხარკოვი).

პირველი წრის ფინიშზე მოსკოვის “ლოკომოტივს” ერთობ არასახარბიელო მდგომარეობა აქვს გათამაშების ცხრილში. ეს გამოცდილი კოლექტივი “ცალი ფეხით” იმ ჯგუფის სიახლოეს დგას, რომელმაც უნდა გაისად დატოვოს “ა” კლასი. ამიტომ გასაგებია იმ მობილიზება, რომელიც იგრძნობოდა რკინიგზელთა გუნდში მატჩის დასაწყისს.

ბრძოლამ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო პირველივე წუთებიდან, მაგრამ გავიდა მცირე ხანი და მაყურებელთათვის ცხადი შეიქნა: თბილისელები აშკარად ჯობდნენ მოწინააღმდეგეს სისწრაფეში, კომბინაციებში, ტემპში და განსაკუთრებით - ტექნიკაში.

ჩვენმა გუნდმა ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩის დიდი ნაწილი. ორივე ფლანგი (მეტრეველი, მესხი) მოქმედებდა საუკეთესოდ, ძალზე ეფექტურად და, რაც მთავარია, სარგებლიანად ითამაშა ბარქაიამ მინდვრის შუაში. საიმედო იყო დაცვა.

პირველი გოლი გატანილ იქნა შესვენებამდე. ბარქაია დრიბლინგით გავიდა ორ მცველს შორის ფლანგზე და ზუსტად მიაწოდა კარის წინ კალოევს - 1:0.

მეტად ლამაზი იყო მეორე გოლი. მესხმა თავისი ფლანგის კუთხიდან უკან გადააწოდა ბურთი ცენტრში და აქ ბარქაიამ დაახლოებით 17 მეტრის მანძილიდან შეუჩერებლად, გამოზომილად დაარტყა კარში - 2:0.

ამ პერიოდისათვის დინამოელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული და როცა კომბინაცია მეტრეველი-მესხი-იამანიძე-მესხი-ბარქაია მესამე ბურთით დამთავრდა, მატჩის ბედი ეჭვს არ იწვევდა არავისში, მითუმეტეს, რომ სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა მასპინძელთა კართან.

მაგრამ “ლოკომოტივი” განაგრძობდა ბრძოლას. მე-80 წუთზე ბუბუკინმა წამით მიიღო თავისუფალი მოქმედების საშუალება და შორი მანძილიდან დაარტყა კარში. მეკარე ლეჟავამ ვერ შეძლო ძალზე იოლი ბურთის აღება და გაუშვა იგი - 1:3.

ამ გოლმა გარკვეული დისონანსი შეიტანა დინამოელთა თამაშში და როცა მატჩის დამთავრებას აკლდა 4 წუთი, სპირიდონოვის მიერ მოულოდნელად დარტყმული ბურთი კვლავ აღმოჩნდა თბილისელთა კარში.

მატჩი მოგებულ იქნა, მაგრამ ბოლო 10 წუთში დაშვებულმა ლაფსუსებმა მნიშვნელოვნად გააფუჭა თბილისის “დინამოს” მიერ საუკეთესოდ ჩატარებული მატჩი.

თბილისელებმა გამარჯვება მოიპოვეს დუბლიორთა შეხვედრაშიც - 2:0.

ნ. ახვლედიანი (ჩვენი სპეც. კორ.).

“ლელო”, 17 აგვისტო, 1963 წ.